ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2017: საქართველოს კანონმდებლობა - საარჩევნო სუბიექტები პრაქტიკაში

საქართველოს კონსტიტუციურ დემოკრატთა ასოციაციის მიერ 2017 წლის მაის-ივნისში ქალაქ ბათუმში საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმირებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის

შემაჯამებელი ანგარიში

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2017: საქართველოს კანონმდებლობა - საარჩევნო სუბიექტები პრაქტიკაში

„პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2017 წელს გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის“ პროექტის ფარგლებში, 2017 წლის 3 თებერვალს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსის შედეგების მიხედვით საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დაფინანსებით, “საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატთა ასოციაციამ” 2017 წლის მაისსა და ივნისში განახორციელა პროექტი: “ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2017: საქართველოს კანონმდებლობა - საარჩევნო სუბიექტები პრაქტიკაში”

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2017: საქართველოს კანონმდებლობა - საარჩევნო სუბიექტები პრაქტიკაში

პრობლემა

- პოლიტიკური პარტიებისა და, ზოგადად, არჩევნებში ჩართული მხარეების დაბალი ინფორმირებულობა არჩევნების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ

მიზანი

- არჩევნებში ჩართული პარტიებისთვის საინფორმაციო/ საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსის ჩატარება, მათთვის მაქსიმალურად სწორი და მიზანმიმართული ინფორმაციის მიწოდება, რაც გააძლიერებს მათს ადამიანურ რესურსს და შექმნის საფუძველს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომი განვითარებისათვის.

პროექტის ამოცანები:

- არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის მოქმედი საარჩევნო სისტემების გაცნობა;
- ჩართული მხარეების რეგისტრაცია, უფლება-მოვალეობები პროცესში და საარჩევნო ეთიკის გაცნობა;
- წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოებისა და შეზღუდვების გაცნობა;
- კონფლიქტების მართვისა და საარჩევნო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა;
- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და ანგარიშვალდებულების ფორმების შეთავაზება;
- ინკლუზიური არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- გენდერული თანასწორობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტებისა და ქართული კანონმდებლობის გაცნობა

პროექტის კალენდარი და გეოგრაფია

- პროექტი განხორციელდა ორ ეტაპად:
- პირველი ეტაპი მოიცავდა მოსამზადებელ სამუშაოებს, გაგრძელდა 2017 წლის 1-დან 28 მაისამდე, ხორციელდებოდა ძირითადად ქალაქებში თბილისსა და ბათუმში;
- მეორე, ძირითადი ეტაპზე ჩაუტარა ტრენინგი 27 პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელ 99 ბენეფიციარს გურიის სამი საარჩევნო ოლქიდან. ტრენინგები ჩატარდა ოთხ ნაკადად და მოიცავდა პერიოდს 29 მაისიდან 23 ივნისის ჩათვლით და განხორციელდა ქალაქ ბათუმში.

სამიზნე აუდიტორია - რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები

ა. კვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტები, კომისიის წევრები (ექს-ექსი ბენეფიციარი):

1. ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო
2. გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა
3. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
4. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
6. ქრისტიან კონსერვატიული პარტია

ბ. კვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტები (სამ-სამი ბენეფიციარი):

7. კონსერვატიული პარტია
8. ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკურიალიანსი
9. დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო
10. ახალი ქრისტიან-დემოკრატები
11. სამოქალაქო პლატფორმა -ახალი საქართველო

სამიზნე აუდიტორია
რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები

12. საქართველოს ლეიბორისტული პარტია
13. თავისუფალი დემოკრატები
14. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
15. ეროვნული ფორუმი
16. თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა
17. თავისუფალი საქართველო
18. სახელმწიფო ხალხისთვის
19. საქართველოს რესპუბლიკური პარტია

ბ. არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტები (სამ-სამი ბენეფიციარი):

20. საქართველო მშვიდობისთვის
21. ახალი მემარჯვენეები
22. ევროპელი დემოკრატები
23. ქართული დასი
24. ეროვნული დემოკრატიული პარტია
25. ჩვენები
26. საქართველოს სახალხო პარტია
27. რეფორმატორები

№№	პოლიტიკური სუბიექტი	ბენეფიციარები		
		სულ	ქალი	მამაკაცი
1.	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	6	3	3
2.	გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	6	5	1
3.	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	6	1	5
4.	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	6	5	1
5.	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	6	4	2
6.	ქრისტიან კონსერვატიული პარტია	6	2	4
7.	კონსერვატიული პარტია	3	1	2
8.	ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკურიალიანსი	3		3
9.	დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო	3	2	1
10.	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	3	1	2
11.	სამოქალაქო პლატფორმა -ახალი საქართველო	3	2	1
12.	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	3		3
13.	თავისუფალი დემოკრატები	3		3
14.	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	3	1	2
15.	ეროვნული ფორუმი	3	1	2
16.	თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა	3		3
17.	თავისუფალი საქართველო	3	2	1
18.	სახელმწიფო ხალხისთვის	3	3	3
19.	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	3	2	1
	სულ კვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტი	75	35	40
20.	საქართველო მშვიდობისათვის	3	2	1
21.	ახალი მემარჯვენეები	3	2	1
22.	ევროპელი დემოკრატები	3	1	2
23.	ქართული დასი	3	2	1
24.	ეროვნულ დემოკრატიული პარტია	3	1	2
25.	ჩვენები	3	1	2
26.	საქართველოს სახალხო პარტია	3	1	2
27.	რეფორმატორები	3	2	1
	სულ არაკვალიფივიური პოლიტიკური სუბიექტი	24	12	12
	სულ	99	47	52

პროექტის გამოწვევები და რისკების პრევენცია

რისკებიდან შედარებით მაღალი იყო ბენეფიციართა და პოლიტიკურ სუბიექტთა მხრიდან დაბალი ჩართულობის ალბათობა, რაც გადალახული იქნა:

- საინტერესო მოდულებითა და ტრენერთა მაღალი პროფესიონალიზმით;
- სწორი და ორგანიზებული საკომუნიკაციო კამპანიით;
- საარჩევნო სწავლების, რეფორმების და განვითარების ცენტრის მიერ შერჩეული სწორი სტრატეგიით.

ითანამშრომლა ოცდაშვიდმა პოლიტიკურმა სუბიექტმა. ხოლო, თვითონ ბენეფიციართა მხრიდან მაღალი ინტერესი განპირობებული იყო, როგორც პირადი პასუხისმგებლობით, ისე კარგი სამუშაო პირობებით, საინტერესო პროგრამითა და ტრენერების მაღალი კვალიფიკაციით

პროექტის შედეგები

ყოველ ბენეფიციარს ტრენინგის დაწყებისას და დასრულების შემდეგ უტარდებოდა ტესტირება, რომლებმაც საშუალება მოგვცეს შეგვეფასებინა შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონე.

ამ ტესტების მიხედვით (მაქსიმუმი 25 ქულა) ბენეფიციართა 90% შორის საშუალო სტატისტიკური განსხვავება შეფასებაში მერყეობდა 14-დან 16 ქულამდე, რაც ცოდნისა და უნარების 50%-ით ამაღლების მაჩვენებელია.

პროექტის შედეგები

- ტრენინგების მეშვეობით სამი საარჩევნო ოლქის - ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური - 27 პარტიის 99 წარმომადგენელმა აიმაღლა ცოდნა და მიიღო სასარგებლო ინფორმაცია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით

- საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმირებისა და სწავლების ცენტრმა იმავე რაოდენობის ბენეფიციარს ჩაუტარა ტრენინგი მისსავე მიერ მომზადებული საკუთარი მოდულების მეშვეობით;

- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებმა გაიარეს სატრენინგო კურსი მათთვის მისაღებ გარემოში და დაუხლოვდნენ კოლეგებს სხვა პარტიებიდან (სასწავლო აუდიტორიის გარდა, მათთვის უზრუნველყოფილი იყო ღამისთევა, კვება, ორი ყავის შესვენება, საკომუნიკაციო სივრცე და ერთობლივი გართობა 5 სატრენინგო დღის განმავლობაში). ისინი დაუხლოვდნენ ერთმანეთს, შეაფასეს კოლეგების შესაძლებლობები, გაუჩნდათ ემპათიისა და სოლიდარობის განცდა: ჯგუფებად დაყოფის დროს ეხმარებოდნენ ერთმანეთს დასახული ამოცანების გადაჭრაში.

პროექტის შედეგები

- ბენეფიციარებს შეექმნათ მოტივაცია, არა მხოლოდ მეტი ჩართულობით აეთვისებინათ მოდულით მიწოდებული თემები, არამედ გაეზიარებინათ მიღებული ცოდნა თანაპარტიელებისა და სხვა კოლეგებისთვის. რაც, მათ შორის, განხორციელებული იყო ტრენერების, მათ შორის სწავლების ცენტრის კონტრიბუციის ფარგლებში (ლაშა კილაძე, რამაზ ბოლქვაძე, კონტრიბუციით - მანუჩარ გამყრელიძე) უმაღლესი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით.

- ბენეფიციარებს გადაეცათ სახელმძღვანელოები, რომლებიც დაეხმარება მათ მიღებული ცოდნის უკეთ რეალიზაციაში, საარჩევნო კამპანიის პერიოდში მუშაობისას, ასევე ამ ცოდნის საკუთარ კოლეგებისთვის გაზიარებისას.

- ამრიგად, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს შორის გაუმჯობესდა კომუნიკაცია. ასევე, სხვა კოლეგებისათვის ინფორმაციის გადაცემის გზით გავრცელდება სწორი და ერთგვაროვანი მიდგომები.

შედეგად, 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საარჩევნო გარემო.

პროექტის შედეგები - ბენეფიციართა შეფასება

- პერსონალური მოლოდინების გამართლების კითხვას თითქმის ყველა ბენეფიციარმა დადებითი პასუხი გასცა. ტრენერების მუშაობამ მიღო უმაღლესი შეფასება. საერთო შეფასებით ყველა მოდული იყო ძლიერი. ტრენინგის ორგანიზების შეფასება იყო დადებითი
- თითქმის ყველა ბენეფიციარმა დადებითი პასუხი გასცა კითხვას მიიღებდა თუ არა მონაწილეობას მსგავს ტრენინგში (მათ შორის, თემატურად)
- ბენეფიციართა განსაკუთრებული შეფასება დაიმსახურა მეთოდიკამ, რომელიც ტრენერებმა შემოგვთავაზეს, ყველა ერთხმად აღნიშნავდა ენერჯაიზერებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების ეფექტურობას
-
- საერთო პოზიცია: ტრენინგები არამხოლოდ ცოდნის ამაღლების საშუალებაა, არამედ საკომუნიკაციო სივრცე, რაც მომავალში კონფლიქტების აცილებას და არაობიექტური პრეტენზიების შემცირებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ლიდერის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა, რაც შემდგომი თანამშრომლობის პირობებში, გუნდურობას და მაღალ პროფესიონალიზმს უზრუნველყოფს

ტრენერების და პროექტის ორგანიზატორების მიმართ მკაფიოდ გამოხატული ნდობის ფონზე გამოიკვეთა მომავალში მათთან თანამშრომლობის სურვილები. კერძოდ, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი ტრენინგის ჩატარებისა და ამ მიზნით 7-10 დღიანი ტრენინგ-კურსების მომზადების მოთხოვნა და მათი გავლის სურვილი.

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი



ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი